სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/32

ქ. თბილისი

5 მარტი 2021 წ.

2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №322 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის №159323 ბრძანების, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის", ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის სხდომის №01-05-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ** დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგი

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრი დაიწყოს 2021 წლის 15 მარტს.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარიმართოს დისტანციურად.
3. არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** რეკომენდაციების შესაბამისად დაევალოს <u>ინფრასტრუქტურული მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ნ. ნებიერიძე).</u>
4. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით.
5. სასწავლო მეცადინეობები ჩატარდეს 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 03 ივლისის ჩათვლით.
6. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2021 წლის 10 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს 28 ივნისიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 05 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2021 წლის 19 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით.
7. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა, როგორც წესი, განხორციელდეს სასწავლო კომპონენტებისათვის გათვალისწინებული დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ვადაში.
8. დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს 2021 წლის 04 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი).
9. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად.
10. შუასემესტრული გამოცდების კვირაში სასწავლო მეცადინეობები არ დაიგეგმოს.